

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ასევე სშკ-ის 32-ე მუხლის მიხედვით, რომელიც პარალელურად თავისი შინაარსით დაკავშირებულია ევროპის სოციალური ქარტიის პირველი მუხლის მე-2 პუნტთან და განმარტა, რომ დასაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით. გატარებული შრომით-სამართლებრივი რეფორმის მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლებების დაცვა იყო და საყურადღებოა, რომ თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ე.წ. "favor prestatoris" პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. აღნიშნული პრინციპი ემსახურება დასაქმებულსა და დამსაქმებლის მოთხოვნების და ინტერესების წონასწორობის დაცვას.

ნიკოლოზ პოპიაშვილი

► 5 - 2/2020

გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება/გამოსაცდელი ვადის ამოწურვა/მტკიცების ტვირთი

უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება № ას-699-653-2017

შრომის კოდექსის მე-9 მუხლი

გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ურთიერთობის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება დასაქმებულის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, თუ გათავისუფლება ამ ვადის ამოწურვამდე ხდება

რედაქტორის შენიშვნა: საკასაციო ინსტანციამ გაიზიარა წინა ინსტანციის მიერ განვითარებული მსჯელობა, რომლის მიხედვითაც, დამსაქმებლის დისკრეცია, ვადის გასვლამდე, გაათავისუფლოს დასაქმებული მის გამოსაცდელი ვადის მოქმედებისას შეზღუდულია და ის ამ შემთხვევაშიც ვალდებულია დაასაბუთოს გათავისუფლების გადაწყვეტილება, რადგან ამ შემთხვევაში დასაქმებულს არ ეძლევა მისი პროფესიული უნარების სრულად გამოვლენის შესაძლებლობა და არ არის ცალსახა, რომ ვადის გასვლის შემდეგაც იდენტური შედეგი დადგებოდა. ეს გამომდინარეობს შრომის კოდექსის მე-9 მუხლის ტელეოლოგიური განმარტებიდან. დასაქმებულის შეუსაბამობა მისთვის შესასრულებელ დავალებასთან დამსაქმებლის სამტკიცებელია. გემოთ მოყვანილი დასაბუთების ვალდებულება არ ვრცელდება დასაქმებულის გამოსაცდელი ვადის ამოწურვის საბაზით გათავისუფლების შემთხვევებზე (იხ. სუსგ №: ას-1213-1139-2015).

► 6 - 2/2020

მოთხოვნის არსებობის „სხვაგვარად“ აღიარება როგორც ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველი/ვადის აბსტრაქტული და კაუზალური აღიარება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 05 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-679-633-2017

სკ-ის 137, 341-ე მუხლები

1. ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ვადის მარტივი აღიარება (რაც საკმარისია სკ-ის 137-ე მუხლის გაგებით „სხვაგვარი“ აღიარებისათვის), კაუზალური და აბსტრაქტული აღიარებები. მარტივი აღიარების შემთხვევაში მოვალე ცალმხრივად ადასტურებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას და გაცნობიერებულად გამოთქვამს მზაობას, შეასრულოს იგი.

2. კაუზალური აღიარება მიმართულია არსებული სამართლებრივი ურთიერთობის დადასტურებისაკენ და ბუნებრივია უნდა შეიცავდეს დაპირების ელემენტს, ამასთან იგი შესაძლებელია არ იყოს ცალმხრივი (მხარეთა ორმხრივი შეთანხმება არსებული ვალდებულების შესრულების დამატებით ვადაზე, სხვა შესრულების მიღებაზე და სხვა).

3. სკ-ის 341-ე მუხლით მოწესრიგებული ვადის აბსტრაქტული აღიარება მარტივი აღიარებისაგან განსხვავდება მისი აბსტრაქტული ბუნებით. იგი თავად წარმოადგენს დამოუკიდებელ ხელშეკრულებას და დამოუკიდებელ ვალდებულებას წარმოშობს. ის ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც ნამდვილია. მის მიმართ ხანდაზმულობის ვადა აითვლება დამოუკიდებლად (სუსგ № ას-383-364-2015; № ას-1067-1026-2016; № ას-681-635-2017).

უზენაესი სასამართლო, საბოლოო ჯამში, სწორად მიზნავს ვადის მარტივ (საკმარისია სკ-ის 137-ე მუხლის გაგებით სხვაგვარი აღიარებისათვის, კაუზალურ ანუ დეკლარატორულ (სკ-ის 317 I მუხლი) და დამოუკიდებელ ანუ აბსტრაქტულ (სხვაგვარად: დამოუკიდებელი) აღიარებებს (სკ-ის 341-ე მუხლი). თუმცა დეფინიციის მხრივ უფრო მეტი სიზუსტე იქნებოდა სასურველი. კერძოდ, სკ-ის 137-ე მუხლში ნახსენები მოთხოვნის/ვადის „სხვაგვარი“ აღიარების ქვეშ მოიაზრება მოვალის ნებისმიერი ფაქტობრივი მოქმედება კრედიტორის წინაშე, საიდანაც ცალსახად და არაორაზროვნად გამომდინარეობს, რომ მოვალეს გაცნობიერებული აქვს ვადის არსებობა და ამით წარმოშობს კრედიტორის ნდობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოვალე ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც აღარ მიუთითებს ამ ხანდაზმულობაზე. ამის საპირისპიროდ, როგორც ვადის დეკლარატორული/კაუზალური ისე კონსტიტუტიური/აბსტრაქტული აღიარება წარმოადგენს ხელშეკრულებას (და არა ცალმხრივი გარიგებას, როგორც ამას გაკვრით ახსენებს სასამართლო) და საჭიროებს ბოჭვის ნებას.

№ას-281-269-2015; 29.01.2016 წ. №ას-951-901-2015; 29.06.2015 წ. №ას-885-847-2014;

⁴ Grothe, in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2017, BGB § 212 Rn. 6.